

სკოპინგის დასკვნა N28

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 53 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „მტკვარი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „მტკვარი ჰესი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 19.07.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „მტკვარი ჰესის“ მიერ, წარმოდგენილია ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, 53 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „მტკვარი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში.

მტკვარი ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2009 წლის 3 ნოემბერს გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N98 (ბრძანება N2-512 / 05.11.2009). სამშენებლო სამუშაოების დაწყების პროცესში საპროექტო დოკუმენტაციაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რამაც გამოიწვია ჰესის ტექნიკური დეტალების ცვლილება და დადგმული სიმძლავრის გაზრდა 43 მეგავატიდან 53 მეგავატამდე. აღნიშნულ ცვლილებებზე 2019 წლის 11 ივნისს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-512).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მტკვარი ჰესის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, კერძოდ კაშხალი და საათობრივი რეგულირების წყალსაცავი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. რუსთავიდან 2 კმ-ის დაცილებით, ხოლო ძალური კვანძი - ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. საყუნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „მტკვარი ჰესი“ წარმოადგენს საათობრივი რეგულირების დერივაციულ ჰესს, დადგმული სიმძლავრით - 53 მგვტ, ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავებით - 245.1 მლნ კვტ/სთ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰესის შემადგენლობაში შედის სათავე ნაგებობა, რომელიც მოიცავს კაშხალს (სიმაღლე 28 მ), საექსპლუატაციო-სამშენებლო წყალსაცავებს, წყალგამტარ მილებს, თევზსავალს და წყალმიმღებს. სათავე ნაგებობასთან შეგუბებული წყლის სარკის

ზედაპირის ფართობი მაქსიმალური შეტბორვის პირობებში იქნება 0,62 კმ² (მინიმალური შეტბორვის პირობებში - 0,45 კმ²). სათავე კვანძიდან ძალურ კვანძამდე წყლის მიწოდება მოხდება სადერივაციო-სადაწნეო სისტემის საშუალებით, რომლის შემადგენლობაში შედის: მიმყვანი გვირაბი, გამათანაბრებელი რეზერვუარი, სატურბინე წყალგამტარი; ძალური კვანძი მოიცავს ჰესის შენობას, გამყვან არხს, მომსახურე-საწარმოო კორპუსს ცენტრალური მართვის პულტით, სასადგურე მოედანს ზეთის ღია საწყობით და 220 კვ ძაბვის ღია გამანაწილებელ ქვესადგურს, საიდანაც ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მიწოდება მოხდება „ახალციხე 500/400/220“ კვ ძაბვის ქვესადგურზე 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არსებული მდგომარეობით ჰესის სამშენებლო სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, კერძოდ: დასრულების პროცესშია სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები, დამთავრებულია გვირაბის გაყვანის სამუშაოები და მიმდინარეობს შიდა ზედაპირის მოპირკეთება, ასევე დასრულებულია ჰესის შენობისა და ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოები და სხვა. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი იქნა თავდაპირველი პროექტის გარკვეული ხარვეზები, რაც დაკავშირებულია ჰესის უსაფრთხო ოპერირებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- **სათავე ნაგებობა და კაშხალი:** ფსკერული წყალსაგდების მუშა საკეტები აღჭურვილი იქნება ჰიდრაულიკური ამძრავებით; სადაწნეო აუზის მხრიდან კაშხალი (მონაკვეთი 2) ფილტრაციული კედლის საშუალებით, თიხის ფილტრაციის საწინააღმდეგო ბირთვის მქონე კაშხლის ტიპიდან, გადაკეთდება ჰიდროსაიზოლაციო (მემბრანული) საფარის მქონე კაშხლად; კაშხლის ტანში დამატებულია დახურული კედელი; კაშხლის მე-4 მონაკვეთზე დაგეგმილია დამატებითი წყალსაგდებისა და მცირე ჰესის (ე.წ. ეკო-ჰესი) მოწყობა (წყალსაცავის მოცულობისა და სარკის ზედაპირის ფართობის ცვლილებას ადგილი არ ექნება); წყალსაცავიდან სადაწნეო აუზში წყლის მიწოდებისთვის გათვალისწინებული არხების (მილების) საკეტების მოწყობა აღარ მოხდება; თევზსავალის ზედა გასავლელში, წყალსაცავის მხრიდან დაემატა მე-5 საკეტი და თევზსავალ არხში ორი მცირე ზომის საკეტი; პროექტში დამატებულია ეკოლოგიური ხარჯის მონიტორინგის სისტემა - ჰიდრომეტრიული სადგურის ნაცვლად, კაშხლის ქვედა ბიეფში დამონტაჟდება ავტომატური ხარჯმზომები. ძირითადი პროექტით მტკვარი ჰესის ეკოლოგიური ხარჯი განსაზღვრულია 5.8 მ³/წმ-ის რაოდენობით, რომლის გატარება გათვალისწინებულია ზედაპირული წყალსაგდების საშუალებით. პროექტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ეკოლოგიური ხარჯის გამოყენება მოხდება მცირე ჰესის (ე.წ. ეკოჰესი) ფუნქციონირებისათვის (თევზსავალში გასატარებელი ხარჯის ცვლილება არ მოხდება), რაც დაკავშირებული იქნება დამატებითი ელექტროენერგიის გამომუშავებასთან. მცირე ჰესი იმუშავებს მუდმივ რეჟიმში და შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება ეკოლოგიური ხარჯის უწყვეტი

გატარება. მცირე ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 1,1 მგვტ, ხოლო ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავებით - 8,64 გვტ/სთ.

- **სადერივაციო-სადაწნეო სისტემა:** გვირაბგამყვანი მანქანის გამოსასვლელი მოედნის მოწყობისათვის საჭირო ფართობის უზრუნველყოფის მიზნით წყალმიმღები ნაგებობა 1,3 მეტრით გადაადგილებულია აღმოსავლეთის მხარეს; წყალმიმღებში თევზის მოხვედრის პრევენციის მიზნით, გათვალისწინებულია ელექტროდიმპულსური თევზამრიდი მოწყობილობის მოწყობა; მიმყვანი გვირაბის გაყვანის დროს გამოვლენილი სუსტი ქანების მონაკვეთებზე გათვალისწინებულია რკინაბეტონის დამატებითი 25 სმ-ანი სისქის მოპირკეთება დაახლოებით 1,5 კმ-ის სიგრძეზე. ტექნოლოგიური შტოლნის ჰერმეტიკული კარის გადატანა მოხდება გამთანაბრებელი რეზერვუარის ზედა ბიეფისკენ; გამთანაბრებელი რეზერვუარის შიდა ზედაპირზე გათვალისწინებულია დამატებით 35 სმ სისქის რკინაბეტონის მოპირკეთების მოწყობა და რეზერვუარის სიმაღლის 5 მ-ით გაზრდა; სადაწნეო ნაწილის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია სატურბინე მილსადენების ავარიული საკეტების მოწყობა;
- **ძალური კვანძი:** ჰესის შენობაში ძირითადი პროექტით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის „Biotal-5“-ის ნაცვლად, გამოყენებული იქნება „Topa Ero16“-ის მოდელის გამწმენდი ნაგებობა.

პროექტში შეტანილი ცვლილებები არ ითვალისწინებს ახალი სამშენებლო გზების მოწყობას და ამ მიზნით გამოყენებული იქნება არსებული გზები. ძირითადი პროექტით გათვალისწინებული „ახალციხე-ახალქალაქის“ საავტომობილო გზის გადატანის პროექტის მიხედვით კაშხლის ზედა ბიეფში დაგეგმილი მონაკვეთის მოწყობის სამუშაოები დამთავრებულია, ხოლო კაშხლის თხემზე (კაშხლის პირველი და მეორე სექციის თხემზე) დაგეგმილი მონაკვეთის მოწყობა მოხდება კაშხლის სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ. ანალოგიურად კაშხლის პროექტში შეტანილი ცვლილებებით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდება წყალმიმღებთან, თევზსავალთან, დამატებით წყალსადებთან მისასვლელი გზების კაშხლის სექციების თხემზე მოწყობა ძირითადი პროექტით გათვალისწინებული პარამეტრების შესაბამისად.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მოწყობის ადგილმდებარეობის ალტერნატივები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ცვლილებების უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილია ჰესის უსაფრთხოების ნორმებისა და გარემოზე შემცირებული ზემოქმედების კუთხით, რაც შეეხება ადგილმდებარეობის ალტერნატივებს, გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა დაგეგმილი ნაგებობების განთავსებას ჰესის სამშენებლო არეალში, შესაბამისად სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იქნება უკვე აშენებული ნაგებობის ფარგლებში და ახალი ტერიტორიების ათვისება არ მოხდება.

დაგეგმილი ცვლილებებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება არსებული სამშენებლო ბანაკების გამოყენებით, კერძოდ: ჰესის სათავე ნაგებობაზე დაგეგმილი სამუშაოები შესრულდება სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკიდან, ხოლო სადაწნო სისტემის სამუშაოები - ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის გამოყენებით. დაგეგმილი ცვლილებების სპეციფიკის გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკებში დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა ან სამშენებლო ტექნიკის გამოყენება საჭირო არ იქნება. არსებული მდგომარეობით, სამშენებლო ბანაკებზე განთავსებულია ბეტონის კვანძები, დამხმარე საამქროები, საცხოვრებელი სათავსოები და სხვა. სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო. სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის, გამოიყენება შემდეგი სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები: 3 ბეტონმზიდი, 2 ექსკავატორი, 1 ბულდოზერი, 6 თვითმცლელი ავტომანქანა და 2 ავტომანქანა.

დამატებითი წყალსაგდების და მცირე ჰესის მოწყობისათვის დაგეგმილი საექსკავაციო სამუშაოების შესრულების პროცესში მოსალოდნელია დაახლოებით 350 000 მ³ ფუჭი ქანების წარმოქმნა. ფუჭი ქანების ძირითადი ნაწილი (ძირითადად კლდოვანი ქანები) გამოყენებული იქნება კაშხლის პირველი და მე-2 უბნების პროექტში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის, კერძოდ: კაშხლის ტანის, ფერდებისა და ბერმების ფორმირებისათვის. აღნიშნული სამუშაოებისთვის გამოუსადეგარი ფუჭი ქანების ნაწილი განთავსებული იქნება არსებულ სანაყაროზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სანაყარო მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე ზღვის დონიდან 890 და 975 მ ნიშნულებს შორის. სანაყაროს ფართობი შეადგენს 7,36 ჰა-ს. სანაყარო შედგება 8 სხვადასხვა სიგრძის ბერმისგან, რომელთა სიგანე შეადგენს 4-5 მ-ს. სანაყაროს ფერდების დახრა 45°-ის ფარგლებშია. ბერმების სიგანიდან გამომდინარე მათზე შესაძლებელია სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება. 2021 წლის ზაფხულის პერიოდში ჩატარდა სანაყაროს ფერდობის და ტერასების რეკულტივაციის სამუშაოები. ჰესის პროექტის ოპტიმიზაციის პროცესში მოხდა ფუჭი ქანების სანაყაროს პროექტის დაზუსტება, კერძოდ: სანაყაროს ტანზე არსებულ ყველა ბერმაზე, ატმოსფერული წყლების ორგანიზებული გაყვანის მიზნით, გათვალისწინებულია ბეტონის არხების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს სანაყაროს ზედაპირზე მოსული ატმოსფერული წყლების შეკრებას და მდ. მტკვარში ჩაშვებას. ძირითადი პროექტის მიხედვით, სანაყაროს ძირზე (მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე) დაგეგმილია ნაპირსამაგრის მოწყობა დიდი ზომის ქვების წყობით. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობის შესახებ, მათ შორის დაზუსტებული უნდა იყოს სანაყაროზე განსათავსებელი ფუჭი ქანების მოცულობა.**

ჰესის ძალური კვანძის სასმელი წყლით მომარაგება გათვალისწინებულია გრუნტის წყლებით, რისთვისაც ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 2 ერთეული ჭაბურღილის მოწყობა (ერთი სარეზერვო). დასაქმებული პერსონალის მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით,

დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 1.23 მ³/დღ (1,17 მ³/სთ), რაც წლის განმავლობაში იქნება 448.95 მ³/წელ. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის Biotal-5“-ის ნაცვლად, გამოყენებული იქნება „Topa Ero16“-ის მოდელის გამწმენდი ნაგებობა.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება მოხდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საპროექტო დერეფნის ფარგლებში, კერძოდ: უკვე აშენებული ნაგებობების (კაშხალი, გვირაბი, გამათანაბრებელი რეზერვუარი) ტერიტორიებზე, შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების მასშტაბის ზრდა მოსალოდნელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი წყალსაგდების მოწყობასთან დაკავშირებით იზრდება წყალსაცავის მინიმალური შეტბორვის დონე (ნიშნ.+1010,0-ის ნაცვლად იქნება +1015,74) წყალსაცავის მოცულობა და სარკის ზედაპირის ფართობის ცვლილებას ადგილი არ ექნება. აღნიშნულიდან გამომდინარე წყალსაცავის მიმდებარე არეალის ბიოლოგიურ გარემოზე დამატებითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტში შეტანილი ცვლილებები კაშხლის ქვედა ბიეფში გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის (5,8 მ³/წმ) ცვლილებას არ ითვალისწინებს, თუმცა დამატებითი წყალსაგდებისა და მცირე ჰესის მოწყობა, ასევე თევზსავალის ზედა გასასვლელში დამატებითი საკეტების მოწყობა, კაშხლის ქვედა ბიეფში გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა წყლის ბიოლოგიური გარემოს დამატებითი კვლევის ჩატარება, რომელიც ჩატარდა 2022 წლის ოქტომბრის თვეში. კამერალური კვლევით დადგინდა, რომ საპროექტო მონაკვეთში სავარაუდოდ გავრცელებულია 19 სახეობის თევზი. მათგან, საპროექტო ზონაში საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები არ ფიქსირდება. ძირითადი პროექტის მიხედვით, ჰესის სათავე ნაგებობაზე მოწყობილია ე.წ. აუზებიანი (კიბისებური) თევზსავალი. პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით, თევზსავალის ზედა გასასვლელში გათვალისწინებულია 3 დამატებითი კარის მოწყობა, მათ შორის ერთი წყალსაცავში გასასვლელის მხარეს და ორი თევზსავალ არხში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მტკვარი ჰესის პროექტის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურულ ან არქეოლოგიური ძეგლები წარმოდგენილი არ არის. პროექტში შეტანილი ცვლილებები ხორციელდება თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული საპროექტო არეალის ფარგლებში, სადაც მშენებლობის დაწყებამდე ჩატარებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტში შეტანილი

ცვლილებების განხორციელება, ისტორიულ-კულტურულ ან არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების ზრდასთან დაკავშირებული არ იქნება. დეტალური ინფორმაცია გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია, დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. პროექტში შეტანილი ცვლილებების ფარგლებში, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ექნება და ყველა ცვლილება დაგეგმილია ან შესრულებულია ძირითადი პროექტის მიხედვით განსაზღვრული ნაგებობების ფარგლებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა 2023 წლის 15 აგვისტოს ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. აგარის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში და ამავე წლის 16 აგვისტოს ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძველის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „მტკვარი ჰესის“, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა სოციალურ და საკომპენსაციო საკითხებს. დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმულ საკითხებზე, შპს „მტკვარი ჰესის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკომპენსაციო საკითხებზე მოხდებოდა დამატებითი შეხვედრის ორგანიზება. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვების ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირებულ იქნა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და

ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - 2019 წლის 11 ივნისის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა (ბრძანება N 2-512) და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული პროექტის მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია; გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N 2-512) და ცვლილების პროექტით განსაზღვრული საქმიანობის ტექნიკური მაჩვენებლების/პარამეტრების შედარებითი ანალიზი, ცხრილის სახით;
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ალტერნატივების შედარებითი ანალიზი შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
 - საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა და დახასიათება. მათ შორის: ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის (მათ შორის, შეტბორვის შედეგად შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის

ნაკვეთების საკადასტრო კოდები) საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, ჰიდროელექტროსადგურის ყველა შემადგენელი ობიექტის Shp ფაილები;

- ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის არსებული/დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განთავსების (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ (მათ შორის სათავე და ძალური კვანძის საპირკვლები და თხემების ნიშნულები);
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ჰიდროელექტროსადგურის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ყველა ინფრასტრუქტურული ობიექტი (მათ შორის სამშენებლო ბანაკები/მოედნები და სანაყაროები) და მანძილები დასახლებულ პუნქტებამდე;
- საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურის დაშორება მოსახლეობიდან, კონკრეტული მანძილების მითითებით;
- ჰიდროელექტროსადგურის ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა (ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების მითითებით) და განმარტებითი ბარათი ჰესის შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღწერით და სქემატური ნახაზებით;
- დეტალური ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ჰესის დადგმული სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ, მათ შორის გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკოჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია;
- სათავე კვანძის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სამშენებლო ეტაპების, მშენებლობის მეთოდის, დროისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით;
- სათავე კვანძზე კატასტროფულ სიტუაციებში მომატებული წყლის მართვის საკითხები (მათ შორის ინფორმაცია ნამატი წყლის ენერჯის ჩამქრობი ჭის შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით);
- ინფორმაცია სათავე კვანძზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტბორილი ადგილების ფართობის შესახებ, ნორმალური, მაქსიმალური და კატასტროფული შეტბორვის ნიშნულებისა და ფართობების მითითებით. შეტბორვის არეალის კონტურები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში;
- გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობების დეტალურ აღწერას, სამშენებლო ნახაზებს, მისი ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის თევზსავალის ზედა და ქვედა ნიშნულებს, პარამეტრებს, ჰიდრავლიკური გაანგარიშების შედეგებს (იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იქთიოფაუნაზე ზეგავლენის პროგნოზირება), აუზებს შორის სხვაობებს და თევზსავალ ნაგებობაში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ ინფორმაციას;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო-სადაწნეო სისტემის შესახებ, მათ შორის: სადერივაციო-სადაწნეო სისტემის ტიპის, პარამეტრების

და ფიზიკური მახასიათებლების (მათ შორის, დაზუსტებული სიგრძე და დიამეტრი) შესახებ;

- ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან ჰესის დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოების შედეგად, ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურით (სადაწნეო მილსადენი, სადერივაციო გვირაბი მისასვლელი გზები და სხვ.) მდინარის, შენაკადებისა და ხევების გადაკვეთის შესახებ (არსებობის შემთხვევაში) ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დეტალური ინფორმაცია ჰესის შენობის/ძალური კვანძის შესახებ, ძალური კვანძის შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის: ტურბინების (მათ შორის ე.წ. ეკოჰესის ტურბინის) დეტალური აღწერა, თითოეული ტურბინის სიმძლავრისა და ეფექტურობის მითითებით (ამასთან, ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ ინფორმაცია), ასევე ჰესის შენობაში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში ჩაშვების შესახებ, გამყვანი არხის პარამეტრების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ, მათ შორის: ინფორმაცია ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გენერირების შესახებ;
- ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- დეტალური ინფორმაცია ძალური კვანძის უბანზე წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული ღონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე ტერიტორიის დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობ(ებ)ის მოწყობის შესახებ - ნაგებობის ტიპების და ეფექტურობის მითითებით. გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის ტიპები, ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები და shp ფაილები), ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ქვესადგურის შესახებ, ტექნიკური პარამეტრებისა და ფიზიკური მახასიათებლების მითითებით.
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების არსებობის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშს უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ზედაპირული წყლის ობიექტიდან

წყალალების შემთხვევაში მდინარიდან აღებული წყლის რაოდენობისა და წყალალების წერტილის GPS კოორდინატების მითითებით;

- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო წყლის გამწმენდი ნაგებობის შესახებ, ნაგებობის ტიპის, განთავსების ადგილის, პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით, ასევე დასაბუთებული უნდა იყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში Biotal-5“-ის ნაცვლად, „Topa Ero16“-ის მოდელის გამწმენდი ნაგებობის გამოყენების უპირატესობა. გამწმენდი ნაგებობიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები. გამწმენდი ნაგებობაში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების შემთხვევაში, გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- ინფორმაცია ბეტონის კვანძიდან და ემისიების გამომწვევი სხვა წყაროებისგან (არსებობის შემთხვევაში) მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია სათავე ნაგებობის მონიტორინგის სისტემების შესახებ.
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის შესახებ;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- გზმ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა (მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე), დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ, ასევე ინფორმაცია საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინების შესახებ;

- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - „საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია.

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- ვინაიდან ჰესის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ, შესაბამისი ვადების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ (ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები, სანაყარო(ებ)ის ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით. ასევე, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობის შესახებ, მათ შორის დაზუსტებული უნდა იყოს სანაყაროზე განსათავსებელი ფუჭი ქანების მოცულობა და ადგილმდებარეობა;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნების შესახებ (shp ფაილების და GPS კოორდინატების მითითებით);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე და მოედნებზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;

4.2 გზმ-ის ეტაპზე ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს:

- ინფორმაცია მდინარის სიგრძისა და სიგანის (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული მონაკვეთი) შესახებ;

- ინფორმაცია საპროექტო არეალში მდ. მტკვრის შენაკადების შესახებ. მდ. მტკვრის და მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის: საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესახებ;
- მდ. მტკვრის აბსოლუტური მინიმალური და მაქსიმალური ხარჯები. ინფორმაცია მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე 10%, 50% და 90%-იანი უზრუნველყოფისთვის;
- ინფორმაცია წყალდიდობის რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია სათავე კვანძის ქვედა ბიეფში გასაშვები გასატარებელი ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯის შესახებ (ეკოლოგიური ხარჯის გამოთვლისა და რაოდენობის მითითებით). ამასთან მოცემული უნდა იყოს ეკოლოგიური ხარჯის მნიშვნელობად მიღებული კოეფიციენტის დასაბუთება/განმარტება (რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯი მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას, მათ შორის წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნებას) და საჭიროების შემთხვევაში ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შესახებ ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს თევზსავალში გატარებული ხარჯის რაოდენობის საკმარისობისა და გატარებული ხარჯის კონტროლის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია - ჰიდროელექტროსადგურის ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების (ჰიდროლოგიური საგუშაგოს), წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდების აგების, ამასთან ყოველდღიური დონეების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენის შესახებ; ასევე, გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ეკოლოგიური ხარჯის გატარების მონიტორინგის შესახებ, დეტალური ინფორმაცია ხარჯმზომების თაობაზე (ხარჯმზომების ტიპის, ფუნქციების, ტექნიკური მახასიათებლებისა და განთავსების ადგილის მითითებით).
- ინფორმაცია წყალსაცავის დალამვის პროგნოზისა და მისი გარეცხვის რეჟიმების შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშებაში);

4.3 გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
 - გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
 - სეისმური პირობები;
 - ჰიდროგეოლოგიური პირობები;
 - საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა;
- **გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, მათ შორის:**
 - ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
 - საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

4.4 გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით გზშ-ს ეტაპზე დაგეგმილია ბიოლოგიური გარემოს კვლევა. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე, (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე) მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნულ ფოტომასალასთან ერთად; ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტი მონაცემები, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით. (ე.წ ტყეკაფის უწყისი).
- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ოპერირების დაწყებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება იქთიოფაუნის სახეობების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის მიზნით, მონიტორინგის წარმოება უნდა განისაზღვროს სულ მცირე 5 წლამდე ვადით. გარდა ამისა, ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე შემუშავებულ შემარბილებელ ღონისძიებებს - ეკოლოგიური ხარჯის გაზრდას, უნდა დაემატოს მდ. მტკვრის დათევზიანების გეგმა;
- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ეროზიული პროცესების პრევენციის და ამ პროცესებისგან ნაგებობების დასაცავად ფუჭი ქანების სანაყაროს ძირზე, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ დაგეგმილია ეროზიის საწინააღმდეგო

ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა. წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული საქმიანობის შედეგად წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ და შემუშავდეს შემარბილებელი ღონისძიებები.

5. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე (მათ შორის სადერივაციო გვირაბის მშენებლობის პერიოდში), ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება. მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატურ პირობებზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (მათ შორის ინფორმაცია, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთების, კერძო საკუთრებების შესახებ), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. მოსალოდნელი ნარჩენების სახეობების, რაოდენობების, სახიფათობის მახასიათებლების შესახებ მონაცემებისა და მართვის ღონისძიებების მითითებით;

- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), მსგავსი ობიექტების გათვალისწინებით, შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. მათ შორის, ყურადღება გამახვილდეს ჰიდროდინამიკურ ავარიაზე რეაგირების საკითხებზე;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის **შემუშავებული, შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

ცხრილი 2. თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95%

	იანვ	თებ.	მარტ	აპრ	მაისი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოემ	დეკ	წელი
საშ													
მაქს													
მინ													
10%													
50%													
75%													
95%													

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი უნდა იყოს საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shp ფაილი WGS_1984_37N(38N) პროექციით), სადაც მოცემული იქნება: ინფრასტრუქტურული ობიექტები (სათავე ნაგებობა, სადერივაციო-სადაწნეო სისტემა, ჰესის შენობა, სამშენებლო ბანაკები, მისასვლელი გზები, სანაყაროები);
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სატრანსფორმატორო და სატურბინე ზეთების გარემოში მოხვედრის პრევენციის შესახებ, მათ შორის ავარიულად დაღვრილი ზეთების მართვის საკითხები;
- საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა (ს-11) ახალციხე-ნინოწმინდა (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი). აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინსპექტირებისას, გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების შესახებ ინფორმაცია;
- 2019 წლის 11 ივნისის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-512) განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული თითოეული ცვლილების შესახებ დეტალური ინფორმაცია, საბაზისო პროექტთან შედარებით;
- იმ შემთხვევაში, თუ „მტკვარი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში დაგეგმილია 2019 წლის 11 ივნისის გაცემული გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების (ბრძანება N2-512) ძალადაკარგულად გამოცხადება, აღნიშნული მოთხოვნა უნდა აისახოს გზშ-ის ანგარიშში. გზშ-ის ანგარიშში ასევე უნდა აისახოს ინფორმაცია „მტკვარი ჰესის სადაწნეო გვირაბის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე (გვირაბის ჩრდილოეთ პორტალთან დამატებითი შესასვლელი შტოლნის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 5 დეკემბრის N 2-1180 ბრძანებით გათვალისწინებულ ცვლილებებსა და აღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე მოთხოვნა.

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნა;

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „მტკვარი ჰესის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, 53 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „მტკვარი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.